საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიორგაული თეთრი

გიორგაული თეთრი, მეფე ვახტანგ VI-ის (1675–1737) მიერ შემოღებული ტერმინი, რის საფუძველზეც ქართ. ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა შეხედულება, თითქოს გიორგი V ბრწყინვალეს (1318–46) მოეჭრას საკუთარი, ეროვნ. მონეტა.

ვახტანგ VI ემყარებოდა ბექააღბუღას სამართალს, რ-შიც ნახსენებია არა გ. თ., არამედ „გიორგის ჟამის თეთრი", რაც გულისხმობს საქართველოში ილხანების სახელით მოჭრილ მონეტებს. 1355-მდე საქართვ. ზარაფხანებში სხვა მონეტები არ იჭრებოდა.

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964; დ უ ნ დ უ ა გ., დ უ ნ დ უ ა თ., იჭრებოდა თუ არა გიორგაული თეთრი?, «საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები», 2011, [ტ.] 1.

გ. დუნდუა

გიორგაული თეთრი გიორგი VII-ის მონეტავერცხლი XIV ს. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი თბილისი.